

**პაპი იოანე პავლე II-ის გზავნილი
წმიდა საყდართან საქართველოს ელჩის,
მის უდიდებულესობა პრინცესა ქეთევან ზაგრატიონ-მუხრანელისადმი**

ჯემელის პოლიკლინიკიდან, 9 მარტი, 2005 წ.

თქვენო უდიდებულესობავ,

1. მოგესალმებით თქვენს მიერ რწმუნებათა სიგელების გადმოცემისას, რომლებითაც აკრედიტებული ბრძანდებით საქართველოს ელჩად წმიდა საყდართან. ძალზე ვწუხვარ, რომ შეუძლოდ ყოფნის გამო ვერ ვახერხებ პირადად მიგიღოთ, რათა გადმოგცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენი მისიის დასაწყისში. გთხოვთ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გადასცეთ ჩემი გულითადი სალამი და დაარწმუნოთ, რომ ვლოცულობ მთელი ქართველი ერის კეთილდღეობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, სიამოვნებით ვიგონებ ჩემს 1999 წლის სამრევლო ვიზიტს თქვენს ქვეყანაში, როცა ჩემი ვალი მივაგე მდიდარ ქართულ ქრისტიანულ მემკვიდრეობას. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ ტრადიციებში გადმოცემული სულიერი და კულტურული ფასეულობანი კვლავაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საქართველოს ქრისტიანული წარსულის ფესვებიდან ახალი და აყვავებული ცივილიზაციის წამოზრდასა და ამ კეთილშობილი ერისთვის შესაფერისი საზოგადოების ჩამოყალიბებაში (შდრ. *ჩამოსვლისას წარმოთქმული სიტყვა*, თბილისი, საქართველო, 8 ნოემბერი, 1999, n.3, *L'Osservatore Romano*, ინგლისური გამოცემა, [ORE], 17 ნოემბერი, გვ. 3).

2. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეროვნული აღმშენებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს არაერთი მწვავე პრობლემა შეექმნა, რამაც გამოცდის წინაშე დააყენა ქვეყნის მოქალაქეთა სულისკვეთება, მათი დიდსულოვნება და თავგანწირული ძალისხმევა საერთო სიკეთის სამსახურში. საღი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების შექმნის გარდა, ქართველებს ასევე უწევთ, ერთიანობის შენარჩუნების კვალდაკვალ, ევროპული და საერთაშორისო საზოგადოებისადმი გახსნილობა.

როგორც არაერთი ერის ბოლო 20-წლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, ამ გამოწვევებთან გამკლავება მხოლოდ აუცილებელი ერთიანობის მოთხოვნებსა და კანონიერი განსხვავებულობის პატივისცემას შორის გონიერი და ფრთხილი წონასწორობის დაცვითაა შესაძლებელი.

ამიტომაც, უაღრესად საშურია განსხვავებულთა ერთიანობის მდგრადი მოდელის შექმნა, რომელიც, ერთი მხრივ, ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებაშია ფესვგადგმული, მეორე მხრივ კი გახსნილია გარე ურთიერთობებისთვის და სხვებთან დიალოგითა და თანამშრომლობით მდიდრდება.

„დღევანდელი მსოფლიო მოგვიწოდებს... შევიცნოთ და პატივი მივაგოთ ერთმანეთს ჩვენს კულტურათა მრავალფეროვნებაში და მისივე მეშვეობით“. (მიმართვა კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებისადმი, თბილისი, საქართველოს, 9 ნოემბერი 1999, n. 4; ORE, გვ.7). მხოლოდ ამგვარად გაიხსნება სოლიდარობაზე, ურთიერთგაგებაზე და მშვიდობაზე დამყარებული მომავლისკენ მიმავალი ბილიკი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დონეზე.

3. საქართველოში კათოლიკურ ეკლესიას სურს თავისი წვლილი შეიტანოს ერის სულიერ აღორძინებასა და საერთო კეთილდღეობაში. იგი ამის გაკეთებას აპირებს საკუთარი სპეციფიკური რელიგიური მისიის აღსრულებით, აგრეთვე საქველმოქმედო საქმიანობის, კულტურული გაცვლისა და ახალგაზრდების - საქართველოს მომავლისთვის - განათლების შესაძლებლობათა მხარდაჭერის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი კათოლიკეები უმცირესობას წარმოადგენენ, მსურს დაგარწმუნოთ, რომ მათ გულით სურთ იღვაწონ მართლმადიდებელ ძმებსა და დებთან თანამშრომლობისა და პატივისცემის სულისკვეთებით, ისევე, როგორც კეთილი ნების ყველა ადამიანთან, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ თავისუფალი, სამართლიანი და სოციალურად ჰარმონიული მომავლის მშენებლობაში.

დღეს, ისე, როგორც არასდროს, მორწმუნეებს მართებთ ერთობლივი ძალებით შექმნან ჭეშმარიტი სოციალური განახლების მყარი საფუძველი, ხელი შეუწყონ მშვიდობის, ადამიანის ღირსებისა და უფლებათა დაცვის სულისკვეთებით განმსჭვალული საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებას და, იმავდროულად, ითანამშრომლონ საზოგადოებაში შუღლისა და დაპირისპირების აღმოსაფხვრელად.

ამ კონტექსტში, გამოვთქვამ სურვილს კათოლიკურ ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული დიალოგისა, რათა კათოლიკური საკრებულო თავისი მისიის აღსრულებისას სათანადოდ და კანონის ძალით იყოს დაცული.

4. ამ გრძნობებით გიძღვნიტ ჩემს საუკეთესო სურვილებსა და ლოცვას, თქვენს მიერ ესოდენ მაღალი პასუხისმგებლობის აღების დროს.

დარწმუნებული ვარ, თქვენს მიერ დასახული მიზნების განხორციელებით ხელს შეუწყობთ საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებას. ამიტომაც, გარწმუნებთ, რომ ჩემი თანამშრომლები არასდროს დაიზარებენ აღმოგიჩინონ ნებისმიერი სახის დახმარება თქვენი მაღალი მისიის აღსრულებისას.

შევთხოვ ყოვლისშემძლე ღმერთს ლოცვა-კურთხევა არ მოგაკლოთ თქვენ და ქართველ ხალხს.

(პაპი იოანე პავლე II-ის მისასალმებელი გზავნილი, წმიდა საყდართან საქართველო ელჩის, მისი უდიდებულესობა პრინცესა ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ რწმუნებათა სიგელების გადაცემის დროს, ჯემელის პოლიკლინიკიდან, 9 მარტი, 2005 წ.)